

ჯ ა ნ ს უ ლ კ ო რ ბ ა ი ა

# შვიდფერი სიმფონიის ფრაგმენტი

ლექსები

თბილისი  
2007 წელი

რედაქტორი რევაზ ბალანჩივაძე

© ჯორგაძა

თვითუარყოფის ზღვარზეა განსჯა,  
ვედარ ხსნის ჟამთა მეტამორფოზებს,  
ვერ უღრმავდება დროის ოფორტებს,  
ვერ თვლის სამყაროს არეულ მაჯას

და ეუფლება შემძვრელი განცდა,  
რომ სინამდვილემ დაკარგა გონი,  
რომ ამაოა სურვილი წვდომის . . .  
თვითუარყოფის ზღვარზეა განსჯა!

## შვიდვერი სიმურნის ფრაგმენტი

შვიდი დღე, როგორც თეთრი აკორდი,  
აკორდი, როგორც სულის ზეობა,  
ზეობა, როგორც შენეულ ყოფნის  
შრეების ხილვა და მიმდევობა.

შრეები, შენი ყოფნის შრეები,  
ელვარებს სულის მზისფერ გრძნობებით,  
ყველაზე მაღალ აღტაცებებით,  
ყველაზე მკვეთრი უარყოფებით.

შვიდი დღე, როგორც უსასრულობა,  
კით უანგარეს უამის მოქცევა,  
და ეგებები განწირულობით  
ჩემს ნაოცნებარ ყველა ოცნებას.

ზღვისფერ თვალს იქით ანთია თვალი,  
თვალი – ფარული მზის ჭვრება – აზრი,  
და ლოცვასავით ნათელი ქალი  
მიშიფრავს ჩემი ცხოვრების საზრისს.

შვიდი დღე, როგორც ჩემი სამრეკლო,  
სამრეკლო, როგორც სულის სიმაღლე,  
სიმაღლე, როგორც სურვილის ექო  
სიზმარეული ფრთებით მიმაფრენს!

შვიდი დღე, როგორც იდუმალება,  
კით მიუწვდომელ ფიქრის შეცნობა,  
და სიყვარულის ის მდუმარება,  
რომელიც აღარ ითხოვს შენდობას.

არ ითხოვს, რადგან შენდობას ნიშნავს  
ეს აღტაცებაც და ეს ტკივილიც,  
და აღწევს ნამდვილ სიცოცხლის მიჯნას,  
სული ამაყი და განწმენდილი.

შვიდი დღე, როგორც თეთრი აკორდი,  
აკორდი, როგორც სულის ზეობა,  
ზეობა, როგორც შენეულ ყოფნის  
შრეების ხილვა და მიმდეობა.

## საქართველოს

გავჩნდით! და ერთად გავჩნდით ცეცხლიდან,  
სიცოცხლედ - აზრად, მახვილად, ლექსად,  
ცეცხლიდან, როგორც მზის ნასხლეტიდან  
რომ გამოვტაცეთ ღმერთებს და ზეცას.

გავჩნდით! და ერთი ფიქრით და სუნთქვით,  
შენი და ჩემი რწმენით და ხმალით,  
ქამთა ტკივილით და ქამთა ურვით,  
პოეტის გრძნობით, ხილვით და თვალით

ვიცოცხლეთ! და იმ მირიად ზარში  
შენი და ჩემი დაღვრილი სისხლი  
მოგვყვება, როგორც ჟამიდან ჟამში  
შეუბლალავი სული და ნისლი.

ვცოცხლობთ! კვლავ ვცოცხლობთ  
და კვლავ ელვარებს  
შენი და ჩემი გული და სიტყვა  
და მომავალში, ასე მდელვარე  
დროში, უცხადეს მიზნებით მივალთ.

ვცოცხლობთ! კვლავ ვცოცხლობთ და ამაღლება  
გვეზღო მახვილით და ლექსით ჯვარცმით,  
ვცოცხლობთ იმ ცეცხლის გამოცხადებად,  
ცეცხლის, რისგანაც ვიშვით და გავჩნდით.

მე ვერ გიმხელდი, ვერა და არა,  
რადგან არ მქონდა იმის იმედი,  
რომ შენზე ჩემი ფიქრების გალას  
ზუსტად ახსნიდი და გაიგებდი.

ეს ის ლურჯი ზეცაა,  
ეს ის ლურჯი მთებია,  
ეს ის მდინარეა და  
ეს ის ნანგრევებია,

ჩვენ რომ შეგვდამებია,  
ჩვენ რომ დაგვთენებია,  
ეს იმ დღეთა ზეცაა,  
ეს იმ დღეთა მთებია.

ფიქრი ისევ ნატვრაა,  
ნატვრა ისევ ფრთებია,  
... მაგრამ ეს ბილიკები  
სევდის ბილიკებია.

## სხვა რა მიშველის?

ოუ რამ მიშველის, ახლა ამ წუთში  
მხოლოდ გელათის ზეცა მიშველის...  
... ნელა ეშვება მწუხრის ფასკუნჯი,  
ნელა მეფდება მწუხრის გიშერი,

და ახლა მხოლოდ სულ ერთი წამი  
მაცილებს თქვენგან, ზეცის ჰანგებო,  
უცილოდ იტყვის გელათის ზარი  
რაღაცას მთავარს და საგანგებოს.

## მეტამორფოზა

მე დავიბადე  
დამონებულ საქართველოში,  
დღეს თავისუფალ  
საქართველოს მზეს ვეგებები.

სიტყვა “მიყვარხარ”-ის სინონიმის  
ძებნისას ნათქვაში სტრიქონები

რაც არ უნდა გითხრა,  
უკვე ნათქვამია,  
მაგრამ რადგან ვამბობ,  
გწამდეს, მართალია.

მზეს, ჰორიზონტის ხაზამდე დასულს,  
მწუხრი უკარგავს ფერს,  
შენ მეკითხები: “რა გინდა, ჯანსულ?”,  
და მე გპასუხობ: “შენ!”

ოქტომბრის მწუხარი, მზე ჩამავალი  
სივრცეს ნაჩრდილევ ოქროდ მოელტვის,  
ქუჩას მიჰყვება მზისფერი ქალი,  
ქალი, რომელმაც შექმნა პოეტი.

შექმნა პოეტი! რადგან მზისფერი  
მხოლოდ პოეტის ხილვას ეძლევა;  
მხოლოდ პოეტის სული გიცქერის  
ფარულის აღქმად და შემეცნებად.

შექმნა პოეტი! რადგან ის, რაც ხარ  
და ჩემს სიცოცხლედ რადაც მნიშვნელობ,  
მხოლოდ პოეტის ხილვაში ჩანხარ,  
მხოლოდ პოეტის ფიქრებში ზეობ.

ოქტომბრის მწუხარი, მზე ჩამავალი  
სივრცეს ნაჩრდილევ ოქროდ მოელტვის,  
ქუჩას მიჰყვება მზისფერი ქალი,  
ქალი, რომელმაც შექმნა პოეტი.

გონი ქართული ფიქრის ძაბვაზე,  
მაღალ ძაბვაზე არის ჩართული,  
ამ ცხელ ტკივილებს და სილამაზეს  
შედუდებული და მიჯაჭვული.

ფიქრი კი ... აღებს ... ეჭვით და კრთომით  
ახალ სამანზე ახალ კარიბჭეს,  
და უსმენს გონი,  
და უმზერს გონი  
ქართული ფიქრის ჯვარცმულ ნაბიჯებს.

მიყვარხარ! და მე ამ ფრთებით მინდა  
მიუწვდომელი რომ გადავლახო  
და რასაც იტევს ეს ერთი სიტყვა,  
იმაზე მეტი რომ დაგანახო.

მიყვარხარ! და მე ამ ფიქრით მინდა,  
იდუმალების დვრიტა გავშიფრო,  
და რასაც იტევს ეს ერთი სიტყვა  
იმაზე მეტი რომ მიგანიშნო.

მიყვარხარ! და მე ამ განცდით მინდა  
უსაზღვროება გავიწილადო,  
და რასაც იტევს ეს ერთი სიტყვა,  
იმაზე მეტი რომ გაგიცხადო.

კველაზე დიდი არგუმენტი,  
რომ დმერთი არის,  
ეს ისაა, რომ  
შენ არსებობ, ადამიანო.

## ბახსენება

და ახლა სულ ში იმსხვრევა სარკე,  
და ახლა სულ ში იმსხვრევა ბროლი,  
და გუშინდედელ დღის აჩონჩხილ თაღებს  
მე გავურბივარ შიშით და ძრწოლით.

ახლა ყველაფერს ჰქვია ლოდინი,  
სული დაეძებს კარტებს იღბლიანს,  
სულ ში ვანდება უცხო მოტივი  
და აუხსნელი, როგორც ბიბლია.

გავრბივარ, მაგრამ თან მომდევს რაღაც,  
არ ვნებდები და მაინც ვნებდები,  
ვით ლაოკოონს, რაღაცა მტანჯავს  
და ფეთქდებიან ისევ ვნებები.

და ისევ გიხმობ და ტყდება სარკე  
და უდონობით ძლიერი ვხდები,  
თუ ნატვრას შენი სიცილი ავსებს,  
და ხილვას შენი შერხევა თმების.

ძვირფასო! ნეტავ რა მსურდა მაშინ,  
როდესაც სული შენ არ გნატრობდა,  
როცა სულ სხვა ხმებს ვისმენდი ქარში  
და სხვა ფერ ციდან სხვაგვარად თოვდა.

როცა შენ იყავ სულ სხვა და ვიდაც  
და მერე, როცა შემბოჭე თრთოლვით,  
შემოდი ჩემში და მოგყვა ვისაც  
უმანკოება უშგულის თოვლის...

ახლა კი... სულ ში იმსხვრევა სარკე,  
ახლა კი... სულ ში იმსხვრევა ბროლი,  
და მოგონების აჩონჩხილ თაღებს  
მივყვები შიშით, კრთომით და ძრწოლით.

## თენდიზ ჰკუასელის ხსოვნას

შენს დროსთან და ბედთან მუდამ  
ნაღდი კაცის ბჭობით ბჭობდი,  
და სულ ცერზე შემართული  
ყველგან თენგიზ ჰკუასლობდი.

ქართულ ცას და ქართულ მიწას  
უსათუეს გრძნობით გრძნობდი,  
და ამ განცდით ანთებული,  
მუდამ თენგიზ ჰკუასლობდი.

ყველა ვაჟკაცს უნამდვილესს  
ჰეშმარიტი მმობით მმობდი,  
ჩვენი მმობის ავთანდილი  
მარად თენგიზ ჰკუასლობდი.

მეტს გასცემდი, ვიდრე გქონდა,  
თითქოს ზღაპრულ განძებს ფლობდი,  
და ამ მეფურ გულუხვობით  
მუდამ თენგიზ ჰკუასლობდი.

შენი ყოფნით უფრთო ყოფნას  
უსასტიკეს გმობით გმობდი,  
და შენს ორბულ ირაოდან  
მუდამ თენგიზ ჰკუასლობდი.

კაცში – დვთიურს, კაცში – მზიურს,  
შეუმცდარი ცნობით ცნობდი,  
შენი გულით, ლხენით, ცრემლით  
მარად თენგიზ ჰკუასლობდი.

კაცის სულში დემონიურს  
უსათნოეს მტრობით მტრობდი,  
მტრობდი, გმობდი, მტრობდი, მაგრამ  
მაინც თენგიზ ჭკუასლობდი.

სულყველაფერს, მაგრამ ამ ერთს  
გულის კარნახს ვერსად თმობდი,  
ყველგან იყავ! და სულყველგან  
მხოლოდ თენგიზ ჭკუასლობდი.

კვლავ ჩვენთან ხარ!  
ისევ ცდილობ,  
ისევ სიყვარულით მცდელობ!  
ჩვენში ხარ და ძველებურად,  
კვლავაც თენგიზ ჭკუასელობ!

შემოღამება, ოქტომბერი,  
უძიგვიოონი

მწუხერს მიაქვს ქარვის მიმქრალი ფერიც  
და ოქტოცურვილ ხეების წევებაც,  
ეს ცაც და მიწაც ... და ყველაფერი  
მოახლოებულ ბინდ-ბუნდში ქრება.

მე კი ამ წუთში არ შემიძლია,  
უნაზეს ფერებს რომ შეველიო,  
ჩემი მოსისხლე ახლა ბინდია,  
თვალწინ რომ მტაცებს უქიმერიონს.

აქ გავათენებ, აქ, თეთრად დამეს,  
აქ მოლოდინში მზის და სინათლის,  
ბნელში ჩაძირულ ამ სილამაზეს  
რომ ვუდარაჯო ცისფერ დილამდი,

რომ ისევ შევხვდე ამ მოზღვავებას,  
ფერთა ხელახლა შერევას მზეში,  
ბინდმა რომ ხელპყო ახლა თავნებად,  
ახლა რომ თვალწინ გამიქრა ბნელში.

თითქოს მინდოდა შენგან გაქცევა,  
მეჩვენებოდა: სული გკარგავდა,  
მაგრამ საქუთარ ფიქრის გაცემად  
წამომეწიე მაინც არაგვთან,

წამომეწიე, ვით შეძრწუნება,  
როგორც თეთრ არაგვს შავი არაგვი...  
მერე დაეცა მუხლზე ცდუნება  
და მე ვირწმუნე: ვერ დაგკარგავდი.

შენ მოგეჩვენა, რომ გადავკვეთე  
ყველა გზა, შენთან რომ მაერთებდა  
და დაჟურებდი დამსხვრეულ კერპებს  
კედელთან, რწმენის დაშლილ კედელთან.

და ენთო ჩემსკენ მოპყრობილ თვალში  
ეკლესიასტეს მწუხრი და სევდა,  
მე კი კვლავ გიხმობ და გეძებ ქარში  
და იმავ გზებით მოვდივარ შენთან.

მე ჩემს თავს ვეძებ და ჩემს ხილვებში  
ყველგან მხოლოდ შენ და შენ გპოულობ,  
და სულერთია: ჩემში თუ შენში  
ვმაღლდები უფრთოდ და უსხეულოდ!

მე შენ გპოულობ! და არა ისე,  
ვით ორეულში სულის წილდებას,  
არამედ ჯვარცმით მიგნებულ მზისებრ  
შენს და საკუთარ ჭეშმარიტებას.

მე შენ გპოულობ! და ვუსწორდები  
დროს ჩემში მხოლოდ შენი მიგნებით,  
აწ უსასრულოდ განვმეორდები  
და სხვა ვერავინ ვედარ ვიქნები...

მე შენ გპოულობ! ცხადად და ფიქრად  
მე სხვა ვერავინ ვედარ ვიქნები,  
რაც უნდა ვიყო, მე სწორედ ის ვარ  
და სწორედ შენი ჭეშმარიტებით!

გპოულობ! და დროს ვუხმობ: შეჩერდი,  
დროვ, ყველა დროზე უფრო დროულო,  
და სულერთია: შენში თუ ჩემში  
ვმაღლდები უფრთოდ და უსხეულოდ.

შენ გრძნობ და იცი . . . და ითვლი წამებს,  
ითვლი და უცდი ჩემს ნაჩურჩულევს,  
იღუმალია ეს ბნელი დამე,  
ლოდინით სავსე – შენ და სიჩუმე

და ბნელ დამეში ლანდი დავრიშის,  
სულში მწვდება და მიჭერს მარწუხებს,  
ერთი წამიც და გულს გადაგიშლი  
და იხიც ვიცი, რას მიპასუხებ.

ღმერთის სახედ და ხატად გაჩენილს,  
ქე კაცს მიენდო საქმე ღვთიური:  
ღვთაების რწმენა და გადარჩენა  
(ღმერთის სიცოცხლე ამქვეყნიური)!

სწორედ ამიტომ კაცს შეუძლია,  
საკუთარ სულში იგრძნოს სამშობლო,  
ისეთი წმინდა, როგორც ბიბლია,  
მთლიანად საღვთოც და საამსოფლოც...

მას შეუძლია და უნდა გაჟყვეს  
სასოწარკვეთას, ტკივილს და იმედს,  
და როგორც ღმერთის ხატსა და სახეს,  
თავდავიწყებით უყვარდეს ვინმე.

ღმერთის ხატად და სახედ გაჩენილს,  
კაცს აბარია საქმე ღვთიური,  
სწორედ აქაა მისი საშველი -  
მთლად მიწიერიც და ზეციურიც.

შოთა შენგელიას ბრძანება  
ასეულისადმი შეტევაზე გადასცლის ჭინ

დრო სიკვდილით დანაღმულ  
სივრცეებთან მივიდა -  
ბნელ დამეში განაბულ,  
ჩასაფრებულ სიკვდილთან!

და დუმს დამე ვეება  
და გამჭოლი ტყისპირი...  
– წინ! მტერს უნდა შევებაო,  
არ გაბედოთ სიკვდილი!

## უცრემლებოდ და უსინანულოდ

უცრემლებოდ და უსინანულოდ  
გამოვეთხოვეთ ძველ საუკუნეს,  
ზვავად რომ გაწვა, ჩემო მამულო,  
ახლაც რომ რისხვის ზარად გუგუნებს...

იმ საუკუნეს, რომელმაც თავის  
სულის უმრუმეს წიაღში მშობა,  
და ბოლოს მაინც დამადო ვალი –  
მის წიაღშივე შევიგრძნე ტრფობა.

სხვა ყველაფერი იყო ქიმერა,  
არანამდვილი და დასამხობი,  
და ბრჭყვიალებდა, ვით ბედისწერა  
უშავეს ფონზე მკრთალი მნათობი.

სხვა ყველაფერი იყო ნიდაბი  
დაუჯერები და საპაექრო,  
მართლა ვიყავით თუ არ ვიყავით,  
ვერ გავერკვიეთ, ისე დაემხო,

რაც ზვავად გაწვა თავზე, მამულო,  
რის გახსენებაც ზარად გუგუნებს...  
და ვეთხოვებით უსინანულოდ  
განვლილ გზებს, ანუ ჩვენს საუკუნეს!

დამხობილია ქამი,  
სავსე ეჭვით და ბოღმით,  
შეუცნობელი მიზნით,  
შემაძრუუნებელ წყრომით.

ქამი – მპყრობელი სევდით,  
სულის მდაღველი ტვიფრის,  
ქამი – დემონი აზრის.  
ქამი – დემონი ფიქრის.

ეპლესიის კედელზე ამოტვიფრული  
სტრიქონები ჯალალედინის შემოსევის  
შემდეგ

ჟამი გაგვიქრა, ღმერთო, და  
კაცი არ შეგვრჩა, უფალო,  
ქვეყანა დარჩა უხმლოდ, და  
ქვეყანა დარჩა უფაროდ.

ერთს გევედრებით, მზის სხივი  
ჩვენსკენაც გადმოაცოცო,  
ვაჟპაცი საქართველოში  
სიკვდილის დღემდე აცოცხლო!

მე ვარ! ეს ნიშნავს, რომ ვფიქრობ შენზე,  
ეს ფიქრი ჩემი ყოფნის წესია,  
ყოფნის, რომელიც მაღლდება მზეზე,  
ფიქრით, რომელიც უმზევესია.

და გააზრება საკუთარ სულის  
განამდვილდება შენზე ოცნებად,  
და მერე ჩემი ყოფნა სასრული  
უსაზღვრობაში გასაოცრდება.

## დიოსკურის ნანგრევებთან

გაგიმეორებ, რაც ვთქვი მცხეთაში,  
რაც უკვე გითხარ თმოგვის ბჭეებთან,  
რაც უკვე გითხარ მზისფერ გელათში  
და ნარიყალას სიმაღლეებთან,

რაც უკვე გითხარ ზედაზნის მთებთან  
(თავზე რომ გვადგა ზეცა შვიდივე),  
ამ ნანგრევებთან და ტკივილებთან  
გაგიმეორებ ზუსტად იგივეს.

## 1990 წლის ოქტომბერი

ეპოქა მიდის, მიდის და ტოვებს  
მის მიერ შექმნილ ცირკის არენას,  
მისტერიებმა გადაათოვეს  
დარბაზს და ორკესტრს და ავანსცენას.

და ყველაფერი სიცხადით ახსოვს,  
ვინ, ვის, რატომ და რისთვის დევნიდა,  
გზა აერია ჯადოქარ მნათობს,  
იდეა მიდის ავანსცენიდან.

მიდის და თანაც იმგვარად მიდის,  
ვით უკომპასოდ დაძრული გემი,  
და ჟამი, თითქოს საოცრად მშვიდი,  
სავსეა უცხო ფერით და ბგერით.

და თუმც გახსნილი რჩება იარა  
და არყით მთვრალი გლოვობს ტავერნა,  
ეს ტრაგედიის გმირი კი არა,  
კლოუნი ტოვებს ცირკის არენას.

ქვეყნად ყველაზე მაღალი ძეგლი  
უნდა ავტომატურად დამტკიცოს,  
ეფექტურებად რომ ქსოვდა გალა.

... და გოლგოთაზე აღმართეს ჯვარი,  
და ძე ღვთაების გააკრეს ჯვარზე,  
და ტკივილისგან აღძრული კვალი  
ცრემლად გაბრწყინდა ჯვარცმულის თვალზე.

ყურს კვლავ ესმოდა „ჯვარს აცვი ებე“,  
მერე კი დადგა უამი მზიური,  
და იმ წუთს, უმალ, სიკვდილის შემდეგ  
იშვა სიცოცხლე მარადიული.

წვიმს . . . და გავცქერი მოწყენილ ქუჩას,  
მოწყენილ სახლებს, გაძარცვულ ხეებს,  
კვლავ მარტო ვარ და  
ბოლო არ უჩანს,  
უშენო უამს და უშენო დღეებს.

ფიქრი კი თითქოს ფრთას მინაწილებს  
და შენსკენ მოდის თავის ლტოლვაში,  
მე კი  
ჩემს ფიქრს და ნატგრას ვაწყვილებ  
და  
შენით გცოცხლობ უშენობაში.

ტიხარს იქით – შენი სუთქვა,  
ტიხარს აქეთ – ჩემი ფიქრი  
და მიჰყვება დროის ბრუნვას,  
დამე – დმერთის ჩანაფიქრი.

გახელილი შენი თვალი  
სულში ეძებს გზას და სივრცეს  
და თამაშობს დრო და ჟამი  
ორლესული დანის პირზე.

მატარებლის სარკმელს მიღმა  
სევდა ახრჩობს ზამთრის მთვარეს,  
თითქოს ჩემი გზებით მიხვალ,  
მთვარის ბედზე მგლოვიარე.

რა ახლოს ხარ! და მაინც შორს  
უსაზღვრობის იქით იწვი,  
მარტო ფიქრში დამაისობ  
სახედ ჩემი ცის და მიწის.

და ეს დამეც... დროის ბრუნვას  
ერთვის, მისი გზებით მიღის...  
ტიხარს იქით შენი სუნთქვა  
ტიხარს აქეთ – ჩემი ფიქრი.

ეს საუკუნეებ . . .

როგორც სხვა ყველა იქსოს წინ და  
როგორც სხვა ყველა იქსოს შემდეგ,  
ეს საუკუნეებ . . . იმ პირველ დღიდან  
და ჯვარცმის გზებით . . .  
და ჯვარცმის გზებზე  
ეძებს,  
კვლავ ეძებს  
და ისევ ეძებს,  
იმედის ნაპირს, კონცხებს, შუქურებს,  
და მიაბიჯებს  
იმ სასტიკ  
გზებზე,  
ძიების გზებზე . . .  
ეს საუკუნეებ.

## მხატვარი

საპატიმროს საკანში დაებადა იდეა –  
პერსონაჟიკაციურად დაეხატა პლატონისეული  
ტრიადა: ჭეშმარიტება, მშვენიერება, სიკეთე.

მთელი დღეები საკნის ბნელ კედელთან  
იდგა, თითქოს ხატავდა. იგი დასახვრეტად  
შეაღამისას წაიყვანეს,

**ალექსანდრე ჭაბუკიანის მოგონებებიდან**

. . . და საკნის კართან შემოტრიალდა,  
სენაკის წყვდიადს მოავლო თვალი,  
ბნელ კედლებს დარჩა მისი ტრიადა –  
ფიქრის, გლოვის და ოცნების კვალი.

და კვლავ სურს, მაგრამ...  
მაგრამ რა წამი,  
რა ძალისხმევა გადაანათებს,  
მრუდე კედლებზე სისხლის და შეამის  
მოლბერტით შექმნილ მრუდე ნახატებს!

ხარ შორს და სადღაც! ვიღაცის გვერდით  
და მაინც მარტო, სრულიად მარტო,  
და საბოლოოდ გამქრალი დმერთი  
თანდათან მეტი სიმძაფრით გაკრთობს.

სად არის დმერთი? ანდა ვის ესმის  
ბაგემოკუმულ სულის კივილი?  
და მიშლიგინებს გაუვალ ტყეში  
სურვილი, როგორც მუნჯი ტკივილი.

რა წაგართვეს და რა ვერ იპოვე. . .  
სიცოცხლისა და სიკვდილის წილი?  
ეძახი დმერთს და ებრძვი სიშორეს,  
და დამეს ებრძვი გატეხილ ძალით.

ძეგლის 20 სექტემბერი  
1990 წლის 20 სექტემბერი

ქუთაისის უნივერსიტეტის  
გახსნის ზემოხე

კიდევ ერთი სანთელი და  
კიდევ ერთი ტაძარი,  
იმედის და

საონოების  
წიგნად გადანაშალი.

კიდევ ერთი ახდენილი  
ნატერა უუძველესი,  
და ელვარებს ქუთაისი  
მზის და ვარდის ფერებში.

კიდევ ერთი ამაღლება  
ნათელ ქართულ ხვალისკენ,  
სიბრძნის ციხის კიდევ ერთი  
გადახსნილი კარიბჭე.

კიდევ ერთი ფრთაშესხმული,  
ფრთებგაშლილი ოცნება,  
და იღვრება სექტემბერი  
ლექსებად და ლოცვებად.

კიდევ ერთი სანთელი და  
კიდევ ერთი ტაძარი.  
სხვად ათინად,  
სხვად ფაზისად,  
სხვად გელათად აღმდგარი.

## დემოკრიტე

მე თვალებს ვითხო! და გადაქრება  
ეს მზეც, ეს ზეცაც და ეს ფერებიც  
და პაროვნონის სვეტების წყებაც  
და შეგრძნებების ეფემერებიც...

უნდა გადაქრეს! ვარვარებს ლურჯად  
ალმოდებული მხურვალე რვალი...  
მე თვალებს ვითხო! სამყაროს უნდა  
შევხედო მხოლოდ გონების თვალით.

იყო: ქროლვით და ლტოლვით,  
ფრთებით, ძახილით, ზარით,  
ძებნით, პოვნით და წვდომით  
გადალახული ზღვარი!

არის: ქროლვით და ლტოლვით,  
ფრთებით, ძახილით, ზარით,  
ძებნით, პოვნით და წვდომით  
გადალახული ზღვარი!

იქნება: ქროლვით, ლტოლვით,  
ფრთებით, ძახილით, ზარით,  
ძებნით, პოვნით და წვდომით  
გადალახული ზღვარი!

... და ამ გზასაც იქ მოვყავარ,  
სადაც შენი სუნთქვა მიცდის,  
ისევ ერთადერთი მყავხარ  
ტკივილშიც და სიმძიმილშიც.

ისევ, ისევ ერთადერთი  
სიხარულის მეცხრე ცაზე,  
ჩემი ერთადერთი სვეტი  
ამ უსაზღვრო ქვეყანაზე.

და ამ გზასაც იქ მოვყავარ,  
სადაც შენი სუნთქვა მელის,  
ისევ ერთადერთი მყავხარ  
კვლავ ჩემი და შეუცვლელი.

. . . მე ისე ველი. . .

მე ისე ველი,

ისე ველი

შენს გამოჩენას,

სწორედ დღეს,

სწორედ გუშინდელი

მიმწუხრის შემდეგ,

როგორც სიცოცხლის

ისევ, კვლავ და ახლად

გაჩენას,

ვით სიყვარულით

ამაღლების

უცხადეს შედეგს.

მე ისე ველი

შენს

დღევანდელ გამოცხადებას,

დღევანდელს, როცა

იმედები

რეკენ ზარებად.

როგორც ფრთებს,

როგორც გარდასახვას

მეცხრე ცაზე და

ვინ სინამდვილის

გარდაუვალ ფერისცვალებას.

და ყველაფერი,  
 რაც შენ ახლა  
 ასე მოგელის,  
 ნატვრით მოგელის,  
 ტკივილიან  
 ეჭვით მოგელის,  
 და მწამს,  
 რომ მოხვალ,  
 უთეთრესი ხილვა გოგენის,  
 ამ აღტაცებულ  
 მოლოდინშიც  
 მოულოდნელი.

მე ისე ველი. . .  
 და ლოდინში  
 და ამ ნატვრაში  
 ხელახლა ჩნდება  
 წუხანდელი  
 გრუხრის ჟამი და,  
 და ჩემი ფიქრის,  
 ჩემი ხილვის  
 გარდასახვაში  
 კვლავ მეორდება  
 ყველაფერი,  
 კვლავ და თავიდან.

კვლავ მეორდება,  
და კვლავ დგახარ  
გაფითრებული,  
და ისევ მისმენ,  
ისევ მისმენ,  
მისმენ დუმილით,  
კვლავ ებრძვი შენს თავს  
ლგთაებრივი  
და დიდებული,  
კვლავ ებრძვი  
შენს თავს  
შემოქმედის ორმაგ სულივით.

კვლავ მეორდება,  
კვლავ ეშვება  
თბილისის დამე,  
იგნისის დამე,  
მელნისფერი  
იგნისის მწუხარი,  
და ჩემს სიყვარულს,  
სიყვარულით  
ანთებულ თვალებს,  
შენ კვლავ აგებებ,  
შეშფოთებლ,  
აწეწილ დუმილს.

კვლავ მეორდება  
და გამხელად  
გრძნობის ტრიუმფი  
ისევ ელვარებს  
მიგნებული  
სიტყვის სამანზე . . .  
ისევ ელვარებს  
აღტაცების  
ფერთა სიუხვით  
სიზმარეული  
დრო და სივრცე,  
და სილამაზე.

და ახლა ველი,  
შენს დღევანდელ  
გამოცხადებას,  
ველი და სულში  
იმედები რეკენ ზარებად,  
  
ველი,  
ვით ნათელ ამაღლებას  
მეცხრე ცაზე და  
-ვით სინამდვილის  
გარდაუვალ  
ფერისცვალებას.

მე სული გიძღვენ  
ჩემი სულის ნათელ სიდრმიდან,  
აშ და მარადის ამ სიმაღლით უნდა ეწამო,  
შენ არ შეგეძლო,  
წებელ ღმერთად არ ქცეულიყავ,  
არ შეგიძლია დღეს ღმერთად  
არ გამომეცხადო.

მე ისე გელი,  
ისე ველი შენ გამოჩენას,  
სწორედ დღეს,  
სწორედ გუშინდელი მიმწერის შემდეგ,  
როგორც სიცოცხლის  
ისევ, კვლავ და ახლად გაჩენას,  
ვით სიყვარულის  
ამაღლების უცხადეს შედეგს!

ახლა ასეა: ეს შენ ელვარებ  
                  ჩემში ანთებულ ყველა ნატვრაში,  
ყველა განცდაში, ყველა ხილვაში,  
                  ყველა ფიქრში და წარმოსახვაში.

შენით იწყება უძჭვო ყოფნის  
                  ყველა ბილიკი, ყველა გზაშარა,  
და ეს ქვეყანაც, შენზე ფიქრებმა რომ  
                  ამოზიდა და გადაშალა.

შენ ხარ ყველაზე მეტად მაღალი,  
                  უფრო მაღალი, ვიდრე ოცნება,  
ოცნება, ზეცად რომ მიისწრაფვის  
                  და ცის თაღებს რომ  
                  ესისხლხორცება.

შენ ხარ ყველაზე დიდი ნათელი,  
                  ღვთიური ნათლით შემორკალული,  
და ჩემი ყოფნა სავსეა შენით,  
                  ლტოლვით, ძახილით  
                  და სიყვარულით.

სავსეა შენით! შენი სითეთრით!  
და უცხადეს და ფერად სიზმრებით,  
და შენი ნატვრის გამაოგნებელ  
და სულისშემძვრელ კატაკლიზმებით.

უცხოობის და ლიმილის ზღვარზე  
შემომაგებე მზერა და ხელი,  
. . . და მწუხრი იყო ოცნებით სავსე,  
ოცნება იყო ზურმუხტის ფერი,  
და მომაგებე ის სილამაზე  
დაუხდობელად უცხო და მწველი.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

. . . ოფიციალურობის ზღვარზეა განსჯა. . . . .	3
შვიდფერი სიმფონის ფრაგმენტი . . . . .	4
საქართველოს . . . . .	6
. . . მე ვერ გიმხელდი, ვერა და არა . . . . .	7
. . . ეს ის ლურჯი ზეცაა . . . . .	8
სხვა რა მიშველის? . . . . .	9
მეტამორფოზა. . . . .	10
სიტყვა „მიყვარხარ“-ის სინონიმის	
ძებნისას ნათქვამი სტრიქონები. . . . .	11
. . . მზეს, ჰორიზონტის ხაზამდე დასულს .	12
. . . ოქტომბრის მწუხრი, მზე ჩამავალი. .	13
. . . გონი ქართული ფიქრის ძაბვაზე . . . .	14
. . . მიყვარხარ! და მე ამ ფრთებით მინდა .	15
. . . ყველაზე დიდი არგუმენტი. . . . .	16
გახსენება. . . . .	17
თენგის ჭკუასელის ხსოვნას . . . . .	19
შემოღამება, ოქტომბერი, უქიმერიონი. . . .	21
. . . თითქოს მინდოდა შენგან გაქცევა. .	22
. . . შენ მოგეჩვენა, რომ გადავპვეთქ. . .	23
. . . მე ჩემს თავს ვეძებ. . . . .	24
. . . შენ გრძნობ და იცი... და ითვლი წამებს. . . . .	25
. . . ღმერთის სახედ და ხატად გაჩენილს .	26
შოთა შენგელიას ბრძანება ასეულისადმი	
შეტევაზე გადასვლის წინ . . . . .	27
უცრემლებოდ და უსინანულოდ. . . . .	28
. . . დამხობილია უამი. . . . .	29

ეპლესიის კედელზე ამოტვიფრული	
სტრიქონები ჯალალედინის შემოსევის	
შემდგებ . . . . .	30
მე ვარ! ეს ნიშნავს, რომ ვფიქრობ შენზე . . . . .	31
დიოსკურიის ნანგრევებთან . . . . .	32
1990 წლის ოქტომბერი . . . . .	33
... ქვეყნად ყველაზე მაღალი ძეგლი . . . . .	34
... და გოლგოთაზე აღმართეს ჯვარი . . . . .	35
... წვიმს... და გავცქერი მოწყენილ	
ქუჩას . . . . .	36
... ტიხარს იქით – შენი სუთქვა . . . . .	37
ეს საუკუნეც . . . . .	38
მხატვარი . . . . .	39
ხარ შორს და სადღაც . . . . .	40
ქუთაისი, 1990 წლის 20 სექტემბერი . . . . .	41
დემოკრიტე . . . . .	42
... იყო ქროლვით და ლტოლვით . . . . .	43
... და ამ გზასაც იქ მოვყავარ . . . . .	44
... მე ისე ველი . . . . .	45
... ახლა ასეა: ეს შენ ელვარებ . . . . .	50
... უცხოობის და ლიმილის ზღვარზე . . . . .	52